ენერგიის განახლებადი წყაროები და მათი ათვისების თანამედროვე ტენდენციები

ანა არსენაშვილი

arsenashviliani@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჭავჭავაძის გამზ. N1

განახლებადი ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიება და სრულად ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე სამყაროში. მაშინ როცა ამოწურვადი რესურსების მარაგი მცირდება, ამასთან მათი მოპოვება დიდ ზიანს აყენებს გარემოს, ამოუწურავი რესურსებით სარგებლობა მით უფრო საჭირო ხდება. განახლებადი ენერგიების ხუთი ძირითადი წყარო არსებობს: მზის ენერგია, ქარის ენერგია, წყლის ენერგია, ბიომასის ენერგია და გეოთერმული ენერგია. განახლებადი ენერგიის წყაროები მსოფლიო დღის წესრიგში მოექცა მას შემდეგ რაც, ნახშირბადის დონე განსაკუთრებულად გაიზარდა ატმოსფეროში. მნიშვნელოვანია ამოუწურავი რესურსები გარდავქმნით ისეთ ენერგეტიკულ რესურსებად, როგორიცაა სითბო, ელექტროენერგია ან საწვავი. საინტერესოა ასევე როგორ და რა ფორმით ხდება მათი ათვისება საქართველოში.